ფასი ყველგან 10 კ.

1908 წ. გამოც. 4.



იუმორისტული ალმანახი

ეშმაკი

ალმანახი გამოდის მაშინ, როცა ეს მოსახერხებელი იქნება გამომცემლისათვის. ხელის-მოწერა არ მიიღება. დასაბეჭდი მასალები გამოიგზავნება შემდეგ ადრესზე: Типографія Т-ва «Шрома» для Алманаха.



არჩილის ხსოვნას

თოვლს დაუფარავს მთათა მწვერვალნი,
სასტიკი ქარი დაღმუის ბარათ,
მზე მიმალულა შავ-ბნელ ღრუბლებში,
ბუნება გლოვობს, ცრემლი სდის ღვარათ.
მითხარ, ბუნებავ, შენ ვის დასტირი,
ვის აფრქვევ ცრემლებს გულ-ამღვრეული?
– სიმართლისათვის მედგარ ბრძოლაში,
ვინც დირსეულათ დალია სული,
გამომწყვდეული ოთხ კედელ შორის,
წამების ჯვარზე ხელ-ფეხ-გაკრული.

—

მწარეთ ქვითინებს მშრომელთა კრა,
ფრთა გაუშლია მწუხარებასა:
დიდი, პატარა, კაცი და ქალი
გლოვობს და აფრქვევს მდუღარებასა.
მარქვით, ჩაგრულნო, თქვენ ვის დასტირით,
ვის აფრქვევთ ცრემლებს გულ-ამღვრეული?
— სიმართლისათვის მედგარ ბრძოლაში,
ვინც დირსეულათ დალია სული,
გამომწყვდეული ოთხ კედელ შორის,
წამების ჯვარზე ხელ-ფეხ გაკრული.

—

სევდა-ნაღველი სწვევია მგოსანს,
მამით მოურთავს ხმა-ტკბილი ჩანგი,
მწარეთ აკვნესებს წკრიალა სიმებს
და შორს გაისმის მწუხარე ჰანგი.
მითხარ, მგოსანო, შენ ვის დასტირი,
ვის აფრქვევ ცრემლებს გულ-ამღვრეული?
— სიმართლისათვის მედგარ ბრძოლაში,
ვინც დირსეულათ დალია სული,
გამომწყვდეული ოთხ კედელ შორის,
წამების ჯვარზე ხელ-ფეხ გაკრული.

ვ. რუხაძე.

არჩილ ჯაფარიძის დასაფლავება

26 დეკემბერს, ცოტა სუსხიანი დილა გათენდა: ახლად ამოცურებულ მზეს ჯერ კიდევ ვერ მოეკრიბა იმდენი ძალა, რომ ცის კაბადონზე გაკრული თხელი ბურუსი გადაეყარა და სხივ-გაშლილი გადმოეხედა ცის ლაჟვარდიდან: ნელი, მაგრამ ცივი ნიავი სახესა კბენდა თავისი ცივი სუსხით. ქუჩაში მიმავალს იშვიათად შეხვდებოდით, ხოლო ვისაც ხედავდით ისინიც გაჩქარებით მიისწრაფოდენ თავისი საქმისკენ. სახე დაწითლებული ვატმანები გამალებით მიაქროლებდენ ტრამვაის ვაგონებს და ზარების წკარუნით ქუჩებს აყრუებდენ.

— თქვენ აქ უნდა ჩამოხტეთ,—უთხრა კონდუქტორმა ერთ ახალგაზრდას,—ვაგონი მუშტაიდისკენ მიდის და მიცვალებულს-კი ელიზავეტის ქუჩით წამოასვენებენ, გზაში ასცდებით.

— არა, ბრძანდებოდეთ,— ჩაერია ლაპარაკში ერთი მგზავრთაგანი,—როგორც ამბობენ, მხოლოდ გოლოვინის ქუჩაზე არ მისცეს ნება გავლისა, თორემ აქ მიხაილოვის პროსპექტით უნდა გავიაროთ. მეც იქით მოვდივარ.

რკინის გზის საავთმყოფოს მახლობლათ (ანდრეევის ქუჩაზე) პატარა სამლოცველოში ესვენა არჩილ ჯაფარიძის კუბო. მთავრობის ნებართვით პროცესიას უნდა გაევლო: მუშტაიდის ქუჩა, იქიდან ელიზავეტისა, ჩაეხვია ბაქოს ქუჩით და შემდეგ მიხაილოვის პროსპექტით მისულიყო ვორონცოვის ძეგლამდე; აქედან ბარიათინსკისა და ლორის-მელიქოვის ქუჩით მისულიყო ქვაშვეთის ეკლესიამდე.

დილის ცხრა საათზე სამლოცველოს მახლობლად აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ეს ნაწილი ანდრეევის ქუჩისა თითქმის გაჭედილი იყო ძვირფასი მიცვალებულის პატივისმცემლებით. ყველას უზომო მწუხარების ბეჭედი ესვა სახეზე. გაძლიერებული ნარიადი პოლიციისა ენერგიულად ცდილობდა წესიერების დარღვევას. წამ და უწუმ ეჩხირებოდენ იქ. სადაც ეგ ზღვა ხალხი გასაოცარ წესიერებას იცავდა.

თერთმეტი საათი იქნებოდა დაწყებული, რომ სამლოცველოდან მუშებმა გამოასვენეს არჩილის კუბო და ხელებზე აწეული წინ გაუძღვარეს დიდებულ პროცესიას. დაიძრა მგალობელთა გუნდი, ორი გვირგვინებით დატვირთული ბალდახინი და მას მიჰყვა მჭიდროთ დარაზმული ხალხი. მზემ თან და თან გადაიყარა ბურუსის პირბადე და თავისი კაშკაშა ნათელი სხივებით უკანასკნელათ მიეფალმა წამებულის დადუმებულ სახეს, მის ცივ კუბოს.

ნელის ნაბიჯითა და საუცხოვო წესრიგით დაუხვია პროცესიამ მუშტაიდის ქუჩით და ცოცხალ მდინარესავით გაიჭიმა თვალსაჩინო სივრცეზე. ელისაბედის ქუჩაზე გამოირკვა, რომ ადმინისტრაციამ არ მისცა პროცესიას მიხაილოვის პროსპექტზე გასვლის ნება და ხალხიც ელისაბედის ქუჩით გაემართა. ბაღის ქუჩასთან ელისაბედის ქუჩაც ჯარის კაცებს გაემაგრებიათ და პროცესია ნიკოლოზის ქუჩაზე აიყვანეს. მრავალ-რიცხოვან ხალხს თან და თან ემატებოდა, ცოცხალი მდინარე იზრდებოდა და წინ მიიწევდა.

— ვინ არის, შვილო, ვის მიასვენებენ? შეეკითხა ერთი მოხუცი ქალი ჩემს მეზობელს.

— ეგ დედი, ჩვენი დეპუტატია, არჩილ ჯაფარიძე, ჩვენ ამოვირჩიეთ, გავგზავნეთ და ახლა მკვდარი დაგვიბრუნეს...

— ოი, გული კი მოუკვდეს იმათა!.. ჩაილაპარაკა მოხუცმა და ნელი ნაბიჯით აედევნა ურიცხვთა გროვას.

— უჰ, რა მდიდარი ყოფილა, კოლა! შეხედე ამ გვირგვინებს და ამდენ ხალხს! განცვიფრებით ეუბნებოდა პატარა რუსის ბიჭი თავის ამხანაგს.

პროცესია ნელის ნაბიჯითა და საუცხოვო წესრიგით წინ მიიწევდა და გზა და გზა იზრდებოდა, ჩქარა დაუხვია ბუკოვსკის ქუჩაზე და თვალს საოცარი სანახაობა წარმოუდგა.

— სწორეთ არ მოველოდი ამდენი ხალხის მოზღვავებას, —ჩაულაპარაკა ერთმა ჭაღარა ჩოხოსანმა თავის მეზობელს.

— რატომ მერე. ბევრს ეშინოდა გამოსვლა თვარა, უკეთესს რამეს ვნახავდით.

— ერთობის დროინდელ მიტინგებს არა ვავს?—დაუმატა მესამემ.

მართლა, ვისაც უნახავს თფილისში ოქტომბრის დღეები, ეს სანახაობა იმას უთუოდ გაუღვიძებდა გულში მიძინებულ ხსოვნას. რევოლიუციონური სიმღერების ნაცვლად მხოლოდ მგლოვიარე „წმინდაო ღმერთოს“ გუგუნი არღვევდა სიჩუმეს, ხალხი, ურიცხვი ხალხი კი სდუმდა. ერთი გრძნობით გატაცებული მისდევდა ის საყვარელი არჩილის ცხედარს, იმ არჩილისას, რომელსაც შეჰფიცა ჭირსა და ლხინში მხარი დაქერა.

შვადღის 12 საათზე მოაწია პროცესიამ ქვაშვეთის ეკლესიამდე. აქ მას მრავალი ხალხი შეუერთდა გოლოვინის პროსპექტიდან და ახლო-მახლო უბნებიდან. აქ გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი, რასაც დაახლოებით საათ ნახევარი დასჭირდა. ამ ხნის განმავლობაში ხალხი ოდგა ახლო-მახლო ქუჩებში და იკვდიდა. ეკლესიაში, სივიწროვის გამო მხოლოდ ახლო ნათესავებს უშვებდენ. ნამვადღევის $1^1/_2$ საათზე საოცრათ გაზრდილი პროცესია დაეშვა დაღმა ბარიათინსკის ქუჩითა და გაემართა კუკიის სასაფლაოსაკენ.

აი, აქ უნდა გენახათ თქვენ. აქ უნდა გადაგეგლოთ თვალი ამ დიადი სანახაობისათვის, მან თითქმის გაავსო მთელი ბარიათინსკის ქუჩა და ალექსანდრეს ბაღის არე-მარე.

— როგორ მოგწონს, თუ ძმა ხარ, კატორგელის დასაფლავება, ა?

— ასეა ძმაო: იქ მთავრობამ გაასამართლა და აქ კი ხალხი ასამართლებს. როგორც ხედავ...

— მოიცა, ის რიჟა ულვაშებიანი ყმაწვილი უთუოდ სხვა რჯულის ცხოველი უნდა იყოს, რაღაც ძალიან გითვალთვალებს.

— მაგისთანა ძაღლები დღეს აქ ბლოგათ იქნებიან, მაგრამ ვგონებ ვერაფერს ინადირებენ.

— შეხედე, შეხედე, როგორ აათვალჩაათვალიერა დეპუტატი გეგეკორი.

— იმასთან, მაინც ამოდ ჩაუვლის შრომა.

ევგენი გეგეკორი, თავ-ჩაღუნული, ნელა მოაბიჯებდა შვა ქუჩაში და ვინ იცის თავში რა აზრი უტრიალებდა. ისიც ხომ იმ გზით მიდის, იმავე მძიმე და სახიფათო ჭაპანს ეწევა, რომელსაც თავი შესწირა ძვირფასმა არჩილმა?! ვინ იცის რას უმზადებს მას ხვალინდელი დღე! ვინ იცის რით დაგვირგვინდება მისი ხიფათიანი მოღვაწეობა. მწარე ფიქრებით გარემოცული, ის იმედის თვალით გადაჰყურებდა ამ ზღვა ხალხს, მათ თანაგრძნობას და ვფიქრობ, ამით მცირედ მაინც იქარწყლებდა მძიმე შობეჭდილებას.

ქვაშვეთის ეკლესიიდან მიცვალებულის კუბო ქალებმა გამოასვენეს და თითქმის ვერს ნახევარის მანძილზე ხელით მიჰქონდათ. კუბოს უკან ეტლით მიჰყვებოდენ არჩილის მოხუცი მშობლები. იმათ დამწუხრებულ სახეს მტკიცე და გაბედული გამომეტყველება ემჩნეოდა. იქვე იყო მეუღლე არჩილისა.

პროცესიის უმეტესობას მუშები, წვრილი ხელოსნები და წვრილი მოვაჭრენი შეადგენდენ. აქა იქ მოჰკრავდით თვალს შეშინებულ-გაკვირვებული ინტელიგენტის სახესაც. ცხადია ის არ მოელოდა არც ამ დიდებულ სანახაობას და არც ასეთ ჩინებულ წეს-რიგს. საერთოდ თფილისის ადმინისტრაციაც ჩვეულებრივზე უფრო თავაზიანი იყო დღესა და არსად მიუცია

ხალხისათვის საბუთი წესიერება დაერღვია. როგორც გამოირკვა სასაფლაოზე მიმავალი გზები გვარიანათ იყო გამაგრებული საჭიროებისათვის და აქა იქ, ქუჩიდან მიფარებულ ეზოებში მოსჩანდენ ცხენოსან კაზაკთა ნარიადები, მაგრამ ქუჩაში თითქმის არ გამოსულან.

ნელის ნაბიჯით უახლოვდებოდა არჩილის ცხედარი თავისს საუკუნო ბინას. ხალხს თუმცა ბევრი დააკლდა, მაგრამ რამოდენიმე ათასი კაცი და ქალი შავ მდინარესავით მიიკლაკნებოდა მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში და ნიაღვარივით ჩაეშვა სასაფლაოს ეზოს კარებში.

— სიტყვების თქმა აკრძალულია? შეეკითხა ახალგაზრდა ქალი თავის მეზობელს.

— დაურთავთ ნება მხოლოდ რამოდენიმე კაცისათვის, მაგრამ განა შეიძლება იმის ლაპარაკი რაც უნდა ითქვას არჩილზე?

— რაც უნდა თქმულიყო, ის კიდევაც სთქვა და საუცხოვოდაც სთქვა დღევანდელმა პროცესიამ, ჩაურთო სიტყვა შორი ახლოს მდგომმა შავ-პალტოიანმა უცნობმა.

ორატორების რიცხვი მართლაც შეეკვეცა ადმინისტრაციას და სიმართლე უნდა ითქვას, ამით ბევრი არაფერი დაუშავებია. მრავალ-სიტყვაობა, საზოგადო სენია ჩვენებური ორატორებისა. პირველი გრძნობით აღსავსე სიტყვა ი. კაჩუხოვმა წარმოსთქვა. ადმინისტრიციის წარმომადგენელმა რამდენჯერმე შეაწყვეტინა მას ლაპარაკი და ამით რასაკვირველია უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, როგორც ორატორი, ისე დამსწრე საზოგადოება. პირველს მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე და სხვ... ილაპარაკა ფოთისა და ჭიათურის მუშათა წარმომადგენლებმა. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე სოსიკო მერკვილაძემ, არჩილის ბიძამ და სხვ. ზემო აღნიშნული მიზეზისა გამო სიტყვები საზოგადოთ უფერული იყო და სულაც რომ არ თქმულიყო, ამით დიდებული დღე არჩილ ჯაფარიძის დაკრძალვისა თითქმის არაფერს არ დაჰკარგავდა.

75—80 გვირგვინთა შორის დაინახავდით გვირგვინებს:

1) ს. დ. ფრაქციისაგან 2) საქართველოს სოც. ფედ. სარ. პარტ., 3) ამხანაგ მუსულმანებისაგან, 4) ОТЪ НЕМНОГИХЪ,—ЗАЩИТНИКУ МНОГИХЪ, 5) ქალთა თანამოაზრე ჯგუფისაგან, 6) ბაქოს პროფესიონალური კავშირებისაგან და მათი ცენტრალური ორგანოსაგან, 7) ბაქოს ხელმძღვანელ კ—საგან, 8) კავკასიის ს. კ—საგან, 9) თფილისის დეპოს მუშათაგან, 10) პოლიტიკურ საქმეთა დამცველ ვექილებისაგან, 11) მეტეხის პოლიტიკურ ტუსაღთაგან, 12) ბათუმის მუშებისაგან, 13) ჭიათურის მუშებისაგან, 14) გორელ ამხანაგებისაგან, 15) ს. ხაშმის (გარეთ კახეთის) თანამოაზრე გლეხთაგან, 16) თფილისის წვრილ ვაჭართა პროფესიონალურ საზოგადოებისაგან, 17) თფილისის კ—საგან, 18) „ალის“ რედაქციისაგან, 19) თფილისის რკინის გზის სადგურის კონდუქტორთაგან, 20) თფილისის ლუდის ქარხნის მუშათაგან, 21) ახალგაზრდა მებრძოლ ქალთაგან, 22) კახეთის მევენახეთა ღვინის გამყენებელ გლეხთა ამხანაგობისაგან, 23) თფილისის ნოქრებისაგან, 24) პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე რაიონებისაგან, 25) წვრილ ვაჭართა საზოგადოების პირველ და მეორე რაიონისაგან 26) თფ. დეპოში მოსამსახურეთაგან და სხვ. დაკრძალვას აშკარა ინტერნაციონალური ხასიათი ემჩნეოდა, თუმცა ქართველი საზოგადოება გაცილებით სჭარბობდა ყველა დანარჩენებს. რაიცა შეეხება საქართველოს ბურჟუებს მათი წმინდა დემონსტრატიული დაუსწრებლობა. თითქმის არავის გაჰკვირვებია. ხშირად მწარე დაცინვით გაჟღენთილ საუბარს მოჰკრავდი ყურს და უნებლიეთ გული გეტკინებოდა.

— ნეტავ ჩვენს ბურჟუებს არ ეკადრებოდათ ეკლესიაში მოსვლა და სახალხო გმირის გამოთხოვება?..

— ვინ გაბედავს ძმაო, ალბათ გაცივებისა ეშინიათ...

— იქნებ მათი აზრით არჩილი კატორჟნიკი იყო...

და სხვა ათასი ამის მაგვარი ჩაესმა ყურს და გული დამიღონა. განა არც მე მოველოდი ამათგან „სახიფათო“ პროცესიაში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ ქაშვეთის ტაძარში მდგომ უბრალო კუბოში მდებარე, ხალხის კეთილდღეობისათვის წამებული არჩილის სახეს კი დახედავდენ მეგონა. ბოდიშს ვიხდი ასეთი გულუბრყვილობისათვის.

საღამოს ოთხ საათზე ხალხი დაიშალა და კუკიის სასაფლაოს შავაგულში, ახლად შეზვინულ წითელი მიწის გროვას, ცოცხალი გვირგვინებით უხვად შემკულს, უკანასკნელ სხივებს აფრქვევდა ჩამავალი მზის შარავანდედი.

ეს იყო არჩილის საფლავი!..

დამსწრე.

მესტვირული *)

(ბათუმისთვის)

ჩემო სტვირო, შენზე მღერამ
გაგვიჩინა ბევრი მტერი,
ვისაც მოხვდა შენი გესლი—
აგლეჯია თმა და წვერი,
ბევრი დინჯი ააჩქარა,
შეახტუნა ბევრი შტერი,
შენ კი მაინც არ ისვენებ,
მაინც სცემ მათ, მაინც მღერი.
    და იმღერე, ილილინე,
    შეახურე ვიგინდარა,
    უცხუნე, არ მოასვენო
    ორჭოფი და მეტიჩარა,
    ცრუ მოღვაწეთ თავში ჩასცხე,
    რაც რომ მოვსცხეთ ის არ კმარა,
    უთხარი მათ: კვალათ მოგცხებთ,
    არ გავკმენდთ ხმას, არა, არა!..
და სად გინდა, რომ არ იყოს
ხალხი, ზურგის ასაწველი,
ორ სკამზედა გადამჯდარი,
გულით უნდო, საქმით ჭრელი,
დღეს ბატკანი, ხვალ მურია,
ზედ მგელი და თანაც გველი,
გადავკრათ მათ პრტყელ ბეჭებზე
მათრახისა კუდი მწველი!..
    მაშ დავიწყოთ!. შევახუროთ
    „დიდი კაცი“ ბათუმელი,
    ვკითხოთ იმას: რათ გააგდო
    ერთი ვინმე „მაღმაზელი“?..
    რათ უმტერა ქველ მეგობარს,
    მიაყენა სატანჯველი?..
    არ შევარჩენ ამ სიგლახეს...
    აგვიხსნას ეს... პასუხს ველი!...
მივუმღეროთ ერთსა რაჭველს,
უსაქმურს და გაბერილსა,
მოღიმტილეს, მოწუწუნეს,
კისერ ჩამჯდარს, ჭკუით წვლილსა,
ფარისევლურ ცრემლის მფრქვეველს,
„უჭეშმარიტესსა შვილსა“,
„ერთ რამეზე“ ბლომათ ხარჯავს,
საქმეზე კი—არც ერთ წვლილსა.
    ახლა სკოლებს ჩავუაროთ,
    მივაყენოთ კარზე სტვირი,
    „რუკოდელის“ მასწავლებელს
    მიუმატეს ჯამაგირი,
    მასწავლებელს მეტი მისცენ,—
    განა ითქმის ამის ძვირი?
    მარა სწავლა როგორია?..
    აი სად არს საქმის ჭირი...
მუშებსაც ნუ გამოვტოვებთ,
ბევრია იქ ვასაჯარი,
არ იციან კითხვა, თავი
ჰგონიათ კი კანტის სწორი...
მათთვის გახსნეს ღამის სკოლა,
არვინ სწავლობს ოჯახ-ქორი,
ალბათ უფრო უყვართ ღვინის
ყანწით ხუხვა ერთი-ორი!
    ჯერ-ჯერობით ეს ვაკმაროთ,
    ჩემო სტვირო, ჩვენსა გმირებს.
    შემდეგში კი ნუ მოვაკლებთ
    იმათ პატივს, დანაპირებს.
    საქმე ვუქნათ საკადრისი,
    ვერ ულებდეს დანა პირებს,
    ვიცოცხლოთ და ბევრს შევხვდებით
    მათრახისგან ანაყვირებს!..

კენკი.

---

*) ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისა გამო ამ ლექსის დაბეჭდვა ერთობ დაგვიანდა.

ეშმაკი.



სათათბირ-სამეკტნოსა,
ბევრი ყავს კლოუნ-მგოსანი,
მაგრამ სულ ყველას აჭარბებს
ვლადიმერ სვისტოკოსანი.
ურიცხვსა აფრქვევს ბაყაყებს
მესამე დუმის ზღუდეთა,
თითქო გამხდარა საწყალი
ქვეწარმავალთა ბუდეთა.

კონსტიტუცია.

(რუსულიდან)

(ტყის პირად, მწვანეზე, შვა ხნის ქალი, კონსტიტუცია, ხის. მრავალგვარი წამების ნიშანი ეტყობა მის დამწუხრებულ სახეს. უცებ ტყიდან ვილგელმი გამოვარდება და კინაღამ დაამტვრევს მანდილოსანს).

კონსტიტუცია. ნელა ყმაწვილო!
რა მოგაჩქარებსთ?
ლამის პრიჩოსკა სულ წამიხდინოთ?

ვილგელმი. მმმმ.
კონსტიტუცია. რაო? რას ამბობ?
ვილგელმი. მმმმმ!
კონსტიტუცია. ოჰ ღმერთო ჩემო!
უი საწყალო,
ეს კლიტე პირზე ვის დაუდვია?
საბრალო ბავშვი!!
შეხედეთ ერთი
ბარბაროსები რას არ სჩადიან!
ვილგელმი. მმმმ! (აქეთ იქით იხედება. დაინახავს ვიღაცას და ქუდ-მოგლეჯილი გარბის).

ბიულოვი. (დაქანცული გამოჩნდება ტყიდან).
ოჰ მეუფეო!
ოჰ, ღმერთო ჩემო!
სწორეთ სინსილა გამაგდებინა!
მითხარი ქალო,
შენ მზისა ცალო,
აქ ვილგელმმა თუ გამოირბინა?

კონსტიტ. დიახ ბატონო,
გამოირბინა.
ბიულოვი. თუ გაიარა,
თქვენ გითხრათ რამე?
პოლიტიკაზე ველაპარაკათ?
კონსტიტ. სულ ცოტა რამე
მარტო მმმ...
ბიულოვი. (შეწუხებული)
ასე ვიცოდი,
მისთვის მოვრბოდი. (დაინ·ვენებს)
ნეტავ იცნობდეთ
რა გიჟი კაცია
სცდილობს წარმოსთქვას
„მობილიზაცია“
კლიტეს აიძრობს
თუ კი შახურდა
და არ კი ვარგა
თუ გახმაურდა. (გარბის)
(ტყიდან სიმღერა მოისმის)
სახლს მიმიგავს მე ცხვირი,
მაგრამ სულაც არ ვსტირი,
რადგან ჩემი სიკეთე
მე თათრებს გავუკეთე.
ბოლგარიის მეფე ვარ
ფერდინანდ კობურგელი
ციც! არავინ გაბედოს
გვირგვინს შემიხოს ხელი!
(გამოდის მხიარული ფერდინანდი)

კონსტიტუცია. რატომ გიჭირავთ
გვირგვინი ხელში?
ფერდინანდ. რისთვის და ვშიშობ
არ დამეკარგოს.
შეხედე: როგორ
სჭკნება, ხუნდება
თავზე რომ მედგას გადაბრუნდება.
კონსტიტუცია. რა გენაღვლება,
დე გადაბრუნდეს!
თუნდ დასჭკნეს სრულად
თუნდა გახუნდეს!
ფერდინანდი. არა დაია
რაც უნდა იყოს
ეგრე სჯობია, ეშხით დავთვერი!
ვღებავ და ვღებავ
სხვა და სხვაგვარათ
დღეს მოლურჯოა, ხვალ ვარდისფერი.
(ტყიდან შახი გამოვარდება. დაინახავს ფერდინანდს)

შახი. ააა, გაუმარჯოს!
ბოლგართ კოროლო,
შახი ხომ არ გსურთ მოჯამაგირეთ?
ახალგაზრდაა.
წვადებს შეგიწვავს,
თან არაბული ზღაპრით გატირებთ.
ფერდინანდ. განა სპარსეთში
ასეა საქმე?
შახი. ქანდრაკულია ბატონო ჩემო.
ფერდინანდი. აჰაა! მაშ ეგრე?
სამწუხაროა!!!
ერთი მიბრძანე მეფეთა-მეფევ:
მხოლოთ ხვალემდი,
სამი მანეთი
ხომ არ გექნებათ რომ მომასესხოთ?
შახი. სამი მანეთი?..
გამიწყრეს ღმერთი
თვალით მენახოს ერთი ხანია...
ფერდინანდი. მაკვირვებს შახო.
ამ სავაგლახო
დროში, თავი რით გაგიტანია. (მიდის).
(ტყიდან სათარ-ხანი გამოფრინდება.

სათარ-ხანი. (კონსტიტუციას ვერ შენიშნავს მივარდება შახს)
მითხარ, სად არის კონსტიტუცია?!
შახი. ვა, გიჟო, განა არ მომიცია?!!
სათარ ხანი. როდის მოგვეცი?..
გუშინწინდელი?!
გუშინ ხომ ისევ გამოსჭარ ყელი?
შახი. ეგ გუშინ იყო,
ჭეშმარიტია...
მაგრამ დღეს განა არ მომიცია?
დღეს ათ საათზე
რომ შამოვიდე
თორმეტზე ისევ უკან წავიღე,
მაგრამ საღამოს
ხომ დავაბრუნე?!
(შემოვარდება ახალგაზრდა ოსმალო)

ოსმალო. კონსტიტუცია
არ დაგინახავთ?
ძლიერ გვჭირია და ნუ დაგვძრახავთ.
შახი. ვითომ რა იყო,
რა ამბავია?
ოსმალო. პარლამენტი გვაქვს მოსართავია. (დაინახავს კონსტიტუციას და მივარდება)
ოჰ, ქალბატონო,
გთხოვთ წამობრძანდეთ
ჩვენი სამშობლო თქვენ გადმოგანდევთ.
კონსტიტ. გმადლობთ, ჰაბუკო
მიწვევისათვის (მიდიან).
შახი. შესდექით ცოტა ღვთის გულისათვის.
ერთი ნამცეცი
თმისა ნამცეცი,
გთხოვთ დამიტოვოთ მოსაგონებლათ.
ოსმალო. რამდენიც გსურდეთ
არ კი შეგშურდეთ
თმა მიაკვეცეთ გენებოს მთელათ.
შახი. გმადლობთ ნებისთვის,
ოსმალებისთვის
დანარჩენიც კი კარგათ გეყოფათ.
(ამოიღებს ხმალს და თმასთან ერთან თავსაც მოჰკვეთს).

(ყველა განცვიფრებულა. ტოტების ლაწალუწითა და იღლიაში ფულებიანი ტომარით, ტყიდან ბანჯღვლიანი დათვი გამობადუნდება. დაინახავს ამ სურათს და მხიარულათ შესძახებს);

დათვი. ღმერთო მაღალო!
მადლობა შენა...
კონსტიტუცია აღარ გვაქვს ჩვენა.

ნიკოიას ჩივილი.

(იმერული სცენა)

დეიქცეს და დეიღუპოს ჩემის ცოდვით ის პიატი გოდა, რავარც იმან დამღუპა და დამაქცია კაცი!!.. მაინც და რავა ეირია ყორისფელი... ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობდა; ქვეყანა ქე ცოციალისტობდა: დიდი, პატარა, ქალი, კაცი, ბატონი, ქალბატონი, ხუცესი, დიაკონი, მამასახლისი, ჩინონიკი, გრუბენატორი და ჟანდაბა. გამიწყრა მოწამეთის მადლი და ქე არ ავყევი მეც! რა მეცოციალისტებოდა მე უბედურს, მამა ჩემს სახლში ხმელა ქადით ყორნტი ჰქონდა გამოთხრეშილი. ვყოფილიყავ ჩემთვის, ქე ვიდექ პატიოსან ადგილზენ. მარა ი გატკეცინებული ბარიშნები რომ ხოვდენ კისერზენ ხელს ამ უშველებელ ყაზახებს და აფხანიკს უძახდენ, ცოტა არ იყოს, რომ მეც რაცხამ მიხიჩინა გულში. ვიფიქრე, ბიჭო, ნიკოია თუ გაკეთდა შენი საქმე—ახლა თქვა. კაი ყოფილა ეს ცოციალისტობაა თუ რაცხა ეშმაკი თქვა! ამ ეპრახიის და კაი ღიმნაზიის ბარიშნებმა თუ დამიწყეს კისერზენ კორწიალი, კაი დაგემართოს, კაი აგი ცოციალისტობა ყოფილა თქვა. ავდექი ბატონო, მივაყარე ჩემ ხაზეინს ბრანწი, უქენი ბუნტი, და ქე გამოვვარდი გარეთ. გამოვარდიო?!!. მომცვინდა ქალი, კაცი, დამიწყეს ქიჩავი, რაღმე გამგლიჯენ შვაზე. ვეჟნები; დუშკა, მაცალეთ პეტერეი და თუ ნიკოია ვყოფილვარ, არც ერთს არ გაწყენებთ თქვა. მარა არ მომიკვდეს შენი თავი, ვარესათ გამქაჩეს. ვიფიქრე: შე უბედურო ნიკოია რა დღეს მოესწარი, რომ აქობამდე რაცხა ჩიბურტალა ყაზახის გოგო ახლოს არ გეკარებოდა თქვა. მარა ნუ იტყვი, თურმე რაცხა სხვა ქონებიათ გულში ერთი მეუმბება ჩვენ პარტიაში მოდიო, მორე მისკენ მეწიწება, მესამე მისკენ... იმე... ვიფიქრე და მეც გევიბერე.. მამა ჩემს ზალიკა საკინჭალაძეს სიძმარშიაც არ გოუარს თავში აი ამბავი თქვა და მე ნიკოია ხელზე სეკოტრიალებელი შევიქენი თქვა. ვკითხე მერე ერთს: შენ რა პარტიის ხარ თქვა. მეო ცოციალრევოლუცია ვარო. კაი და რას თხოულობ შენ თქვა. ჩვენო უნდა ჩამოვართვათ ყველას მიწები და დევირიგოთო. იმე, რა კაი მადა გქონებია ყმაწვილო თქვა მივაძახე. რაცხა ორი ქცევა მიწა მაქ ბაბუისეული და იგი შენ ჩამომართვა აფხანიკობას გაგიწევ კი არა, ლივერს არ გკრავ შიგ გულში თქვა! არა ჩემო ბიძიავ, შენი პარტია ხელს არ მომ-

ცემს თქვა. შენო, შეუგნებელი ხარო ჩეილაპარიკა და მიტია. შევეკითხე მეორეს. მე თებერვალისტი ვარო, ჩვენ ქართველი ღრუბერნატორი გვინდაო. აწი და რუსი რომ იყვეს მითომ რა იქნებოდა თქვა. ქართველები ვართ და ყველა ჩინონიკები ქართველები უნდა გვყავდესო. ვა შენ პატრონს უბედურს თქვა ვუთხარი; ბიჭო და ისტევლე რუსი არ ჯობია, რომ ხანდახან ქე ღოუსისტიცინებ დედას და ქე მაინც ვერ გეიგებს და ხახვივით შემრჩება თქვა, მის ალაგზენ რომ ქართველი იყოს ხომ ბაწარზე ჩამომკიდა თხასავით თქვა. არა ძამია მე თქვენ პარტიაში ვერ მოვალ თქვა უთხარი აგი. იმანაც ჩააქნია თავი, დეიკრა გულზენ ხელი და ჩეილაპარაკა, ვაი ცოციალ-დემოკრატებო, თქვენ გადარიეთ ხალხი მარა გიპოვით დროსო და ქე მომცილდა უცებ ვიკითხე აი ცოციალ-დემოკრანტები რა ლა არის თქვა. მომცვინდა ქალი და კაცი, თურმე ქვეყანა იგენის ყოფილა; ჩვენო, ღარიბი ხალხის პარტია ვართო, ბურჯუებს უნდა ვებრძოლოთო, რუსი, ქართველი, სომეხი, თათარი, ურიე სულ ერთია ყველა ძმანები ვართო. ვიფიქრე ბიჭო, აი ყველე თუ ერთათ ვიქენით ჩვენ ვილა მოგვერევა თქვა ავწიე და სითაც ბევრი ხალხი იყო იქეთ გარვედი. იცოცხლე კაი პარტია იგი გამოდგა და კაი დროებასაც ვატარებდი. ქალიშვილები თუ? ისე მესია თავზენ, რავარც ბჟირი.

იცოცხლე მაშინ უცეფ მეისპო ქურდობა, ყაჩაღობა რაზმონიკობა და მამაძაღლობა. ბურჯუები თუ? ისე მეიკუნტენ წელში. რომე ჩემი ხაზეინი საცხა შემხვდებოდა მეიწვლეპდა ქუდს და ზდრასტი ნიკოია კაკ პაჟივაიტ ვაშა ბლაღაროდნიაო მომაძახებდა. მე რომ მაშვინ დღეში ვიყავ მისთანა ღმერთმა ყველას მოგასწროთ, მაგრამ გოუმწარდეს სიცოცხლე ვინცხამ ჩვენ ეს დაწყობილი ძმობა აფხანიკობა მოგვიშალა!..

შეიქნა თუ არა, ბატონო, შესტოი გოდა, შენს მტერს მისთანა, ჩვენ რომ დღეი დაგვადგა! მანობამდის რომ არსად იხედებოდა აი სტრაჟნიკები, სალდათები და ყაზახ რუსები და რავარც გოსუდარცკი დუმის პრესედატელი ისთე დავსეირობდით, მერე ყველე უცებ დაგვესია თავზენ... დაგვიშინეს ბატონო თოფი, ზარბაზანი, გადაგვიწვეს სახლი, კარი და ყორისფელი. დედაა რავა ტკიცინ-ტკიცინი გაქონდა ჩემს საშობოთ შეკერულ ჩოხა ახალუხს. ვაი იმ დღის რაიც მაშვინ ნიკოიას დღეი დაადგა. კანკრასათ ოთხი თვე ტყეში ვიმალებოდი მშიერ წყურვალი. მერე როცხა დაწყნარდა ყორიფელი ვიფიქრე აწი აღარას მერჩიან თქვა, და ქე ჩამოველ ქალაქში. მინდოდა რაცხა ალაგი მეშოვა, მარა შენ არ მომიკვდე, ყველამ ბრაწი მომაყარა; შენო, ცოციალ-დემოკრატი ხარო, წადი და რუსეთში იშოვე ალაგიო. იცოცხლე ჩემთან ნამსახური ბიჭები კაი დღეში იყვენ ახლა, ვინც მაშვინ თებერვალისტის პარტიაში შევიდა. მე კი დავდივარ ცარიელ-ტარიელი, კუდ აწოძუებული, ენა გამშრალი, კუჭგამხმარი და დაგლეჯილ დაწრეწილი. ერთმა კაკალმა ხაზეინმა რომაა არ გამიკარა. თუ დადგა დროი და, მოვესწარი მისთანა გოდას, რავარც პიატი გოდა იყო გაყურებიებ იმგენის სეირს, თუ არა და, ანასუნი ჩემ საქმეს. ალბათ ასთე მწერებია შუბლზენ.

„გოგიე“.

გაზეთები გადაგვერიენ?!

— კვირას ქართულ თეატრში მიდიხარ?

— მივდივარ.

— რა წარმოდგენა იქნება?

— „პატარა კახი“.

— როგორ თუ „პატარა კახი“ მე წავიკითხე განცხადება და ასე ეწერა: „კვირას, 28 დეკემბერს დილით, წარმოდგენილ იქნება „ლალატი“ო.

— ტყუილი! ტყუილი! მერე სად წაიკითხე რომელ გაზეთში?

— „ალში“! „ალის“-ს 43 ნომერში ეწერა კვირას „ლალატს“ არდგენენო.

— საკვირველია, მე წავიკითხე „ალი“-ს 44 ნომერი და აცხადებდენ „28 დეკემბერს წარმოდგენილ იქნება „პატარა კახი“-ო. ეს რა ამბავია?

— „დროება“ წაიკითხე?

— წავიკითხე.

— იქ როგორ სწერია?

— იქ სწერია... გითხრა? არ დაიჯერებ— „კვირას 28 დეკემბერს წარმოდგენილ იქნება „რევიზორი“-ო... ხა, ხა, ხა, ხა...

— ეს რა ღვთის წყრომაა?

— „ზაკ. ობოზრ“. წაიკითხე?

— წავიკითხე.

— იქ რაღა სწერია?

— კაცო, წარმოიდგინე, იქ სწერია კვირას „პატარა კახი“ იქნებაო.

— ეს რა ამბავია?

— „ნოვოს. ზაკ.“-ში რაღა სწერია?

— იქ ეწერა „რევიზორი“ იქნებაო.

— ეს სწორეთ დაუჯერებელი ამბვია.

— რა უნდა ვიფიქროთ ეხლა, როგორ გგონია, გაზეთები გადაგვერიენ, დრამატიული საზოგადოება თუ, რეჟისორ-ადმინისტრატორები? რა ამბავია ეს?

— სწორეთ აბუჩათ გვიგდებენ სხვა არაფერი. იქნება, ჩემო ძმავ „ალი“ წაიკითეე და „დროება“ არა, ან „დროება“ წავიკითხე და „ალი“ არა, ხომ მოტყუებული დავრჩი, აღარ მეცოდინება „რევიზორი“ იდგმება, „პატარა კახი“ თუ „ლალატი“.

— როგორ ფიქრობ რათ გვიბნევენ ასე დავთარს?

— რა მოგახსენო.

— შეიძლება წარმოდგენის დროსაც კი გვითხრან! ველარ მოვასწარით და შემდეგისთვის გადავდეთო.

— შეიძლება.

— გაზეთები გადაგვერიენ ძმაო, მარა არც ნაკლებათ დრ. საზოგადოება.

წრიპ.

ტალანტები.

(ღარიბულათ შეკაზმულ სუფრას უსხედან სამი ახალგაზდა ინტელიგენტი, კოსტა ფშუტაძე, ნიკო ქერქეტაძე და მათე მატრაკვეცია. შობის მეორე დღეა. სამივე გვარიანათ შეწითლებულია ღვინით. კოსტას თავზე ხელი შემოუდგამს, ღრმათ ჩაფიქრებულა და თვალები პოეტური გატაცებით შემწვარი გოჭის „პოჭოკისთვის“ გაუშტერებია. ხშირათ იღიმება. ნიკო სკამზე გადაწოლილა და თვალები დაუხუჭავს, ოცნებას გაუტაცნია. მათე პაპიროზს, პაპიროსზე სწევს და ხშირ-ხშირათ შუბლზე თითს მიიდებს, თითქო დიდი რამ საკითხი გადაწყვიტაო. უცბათ კოსტას სახე გაუბრწყინდება, გოჭის პოჭოკისკენ ხელს გაიშვერს და გატაცებით წამოიყვირებს):

კოსტა ესე გოჭის პოჭოკი
მაღლა აშვერილია,
აბა ნიკო შეხედე
დაუკრიჭე კბილია.

ნიკო (ხარხარებს და ტაშს უკრავს) ბრავო! ბრავო! კოსტა! მე და ჩემმა ღმერთმა საკვირველია ასე ექსპრომტათ ამისთანა საუცხოვო ლექსის გამოთქმა. ეჰ! მახლას! როგორ უბრალოთ იღუპება ასეთი ტალანტი?

მათე. (ხარხარებს და ტაშს უკრავს) ყოჩაღ ნიკო! ეჭვი არ არის გაქვს ნიჭი ლექსთა თხზვისა. ასე უცბათ ლექსის შეთხზვა არა ჩვეულებრივ ტალანტის ნიშანია. ეჰ! ტალანტიც რომ გქონდეს რათ გინდა, ჩემო ძმავ, შენი ლექსები და შენი წერილები გულშივე უნდა ჩაიკლა. არავინ დაგიბეჭდავს და ისე რათ გინდა.

კოსტა. (სიამოვნებით) არ ვიცი ღმერთმანი ტალანტი მაქვს თუ არა, მხოლოდ ლექსებს რამდენიც გინდა იმდენს შევთხზავ, ჩემი უბედურება ის არის, რომ არსად არ მიბეჭდავენ, არც გაზეთში და

არც ჟურნალში. სადაც კი მივიტანე ყველგან დამიწუნეს, არ ვარგაო.

ნიკო. ეჰ! რა დრო დაგვიდგა. რედაქციებში ისეთმა ხალხმა მოიკალათა, რომ არც პოეზიის და არც სხვა რამეს არაფერი არ გაეგება. არავითარ ყურადღებას არ აქცევენ არც ტალანტს და არც ახლათ გაფურჩქვნილ ნიჭს. კეხნათ ნუ ჩამომართმევთ და კაი გვარიანი მოთხრობები დავწერე და მივიტანე, მარა მაინც დამიწუნეს.

მათე. (წყენით) არც მე მადგია კაი დღე. მართალია არც ლექსების თხზვა შემიძლია და არც მოთხრობების წერა, ასეთი ტალანტი ღმერთს ჩემთვის არ მოუცია, მაგრამ არც სულ უნიჭო ვარ. ვინ იცის რამდენი პუბლიცისტური წერილები დავსწერე, მაგრამ ყველა თავზე გადმომაყარეს. არსად არ დაბეჭდეს. თქვენ კიდევ რა გიჭირთ, ლექსებს და მოთხრობებს თავის დღეში დრო არ წაუვა, პუბლიცისტურ წერილებს კი დღესა აქვს მნიშვნელობა და ხვალ აღარა. ჩემი შრომა ასე ფუჭათ მიდის. ეჰ! მახლას! (ღვინოს გადაკრავს).

კოსტა. (ჩაფიქრდება, გაიღიმებს. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ უცბათ გულზე ხელს დაიდებს და ხმა მაღლა ყვირის)

სტოლთან ვზივართ ორი მხეცი
მელექსე და პუბლიცისტი,
მხარს გვიმშვენებს ბელეტრისტი
იშტი, ბიშტი, თოფი ხიშტი.

ნიკო. (ხარხარებს) ხა, ხა, ხა, ხა! იშტი ბიშტი, თოფი ხიშტი! წაგიხთა ძმაო წაგიხთა.

მათე. (ხარხარებს) მელექსე და პუბლიცისტი, იშტი ბიშტი თოფი, ხიშტი (იცინის) საუცხოვო რითმაა, მაგრამ აზრი კი ყოველივე კრიტიკას მოკლებულია. მარტო რითმაზე ხომ არ არის საქმე? ლექსის მთავარი ღირსებაა, ღრმა აზროვნობა და თან, რასაკვირველია, რითმაც.

კოსტა. (წყენით) ლექსის მთავარი ღირსებაა, რითმა, ლექსის ბოლო სიტყვების დაბოლოება ჰარმონიულათ უნდა ეთანხმებოდეს ერთი მეორეს. მაგალითათ „ტი“ პუბლიცისტი, ხიშტი. ერთიცა და მეორეც „ტი“-თ თავდება. აზრსაც თუ იკითხავთ ამ ერთ კუპლეტში მთელი აზრია გატარებული, აქ პუბლიცისტიც კია ნახსენები, მელექსეც. იშტი-ბიშტიც და ხიშტიც. მე მგონია თქვენ გაიგებთ, რომ ყოველივე სიტყვას თავისი მნიშვნელობა აქვს. „პუბლიცისტი“—დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური ვითარება, იშტი-ბიშტი—სამრეწველო კრიზისი და ხიშტი—რეაქცია.

ნიკო. (ღიმილით) თუ მეტი არაფერი უნდა მაგისთანა ლექსს რამდენიც გინდა იმდენს გამოვსთქვამ. სავალდებულო ხომ არ არის, რომ ყველა სიტყვები მარტო „ტი“-თ თავდებოდეს? ხომ შეიძლება, მაგალითათ „არი“-თ დავაბოლოვოთ?

კოსტა. (მხიარულათ) როგორ არა, როგორ არა. გინდა „არი“-თ დააბოლოვე და გინდა „ბარი“-თ, სულ ერთია.

ნიკო. (დაფიქრდება) აბა მიყურეთ? ვსცადო? (შუბლზე თითს მიიდებს)

ლარი, ხარი, ჩონგურ-თარი
ხელ-კავი და თოხის ტარი.

კოსტა. (წამოხტება და ტაშს უკრავს) ყოჩაღ ნიკო! ყოჩაღ! ბიჭო, შენ მართლა მელექსე ყოფილხარ. მე გირჩევ შენ მოთხრობებთან ერთათ ხანდისხან ლექსებიც სწერო.

მათე. (იცინის) „ლარი ხარი,... თოხის ტარი“, საუცხოვოა! საუცხოვო! მართალია პუბლიცისტურ წერილების მეტი არაფერი მიწერია, მარა მაგისთანა ლექსს მეც შევთხზავ მგონია.

კოსტა. (მხიარულათ) აბა მათე ერთი შენი პოეტური ნიჭიც ვნახოთ!

ნიკო. გთხოვ! თუ ხათრი გაქვს აბა გაანძრიე ერთი შენი მძიმე ტვინი.

მათე. (შუბლი დაუნაოჭდება, თვალები გაუფართოვდება, თითს შუბლზე მიირჭობს და ღრმათ ჩაფიქრდება. ცოტა ხნის შემდეგ სახე გაუბრწყინდება, პირს დააღებს და დაიქუხებს)

აბდა უბდა, გადაბრუნდა
ლექსის შეთხზვა ასე უნდა,
უკეთესს ლექსს თუ ვერ შეთხზავთ
მთხლე შეჭამეთ ერთი გუდა.

კოსტა. (გაოცებული) ბიჭოს! ბიჭოს! ყოჩაღ მათე! ყოჩაღ! აი თურმე სად იმალება საუცხოვო ნიჭი? ვინ იფიქრებდა თუ პუბლიცისტს, მშრალ წერილების მთხზველს, ასეთი ნაზი, პოეტური ლექსის შეთხზვა შეეძლო?! საკვირველია, საკვირველი! ოჰ! დროებავ!

ნიკო. (მხიარულათ) მართლაც, რომ საკვირველია. შენ ნუ ხუმრობ კოსტა და ჩვენ მათეს უეჭველი პოეტური ნიჭი აქვს. გირჩევ მათე, ბეჯითათ მოკიდო ხელი ლექსების წერას და ნახავ, როგორ ჩქარა მოიხვეჭ სახელს.

მათე. (დაღონებული) გინდ სწერე, გინდ ნუ სწერ, გინდ მოიხვეჭე სახელი, გინდ ნუ, სულ ერთია. ტყუილათ რომ ვსწეროთ რა გამოვიდა თუ კი არსად არ დაგვიბეჭდავენ?

კოსტა, (ამოიხვნეშებს) ოჰ! ტალანტები! ტალანტები! რა უსარგებლოთ იღუპება ასეთი ტალანტები!

ნიკო. რომ იცოდეთ, ძმებო, რამდენი მოთხრობები მაქვს დაწერილი, სწორეთ შევეცოდებით. ყრია უმოწყალოთ სტოლის უჯრაში. ფული მე არა მაქვს, რომ გამოვსცე და ისე რა ეშმაკათ მინდა. იმას ნუ იტყვით, რომ მოთხრობებს ლექსებზე ნაკლები მნიშვნელობა ქონდეს. მარტო ერთი ბუნების აღწერა რათ ღირს.

მათე. მე, სწორეთ უნდა მოგახსენოთ, დიდი მოტრფიალე ვარ კარგი მოთხრობების, ხანდისხან ისე გამიტაცებს ხოლმე, რომ ყველაფერი მავიწყდება.

კოსტა. აბა ნიკო, მოიგონე ერთი რომელიმე კარგი ადგილი შენი მოთხრობებიდან.

ნიკო. (მხიარულათ) დიდის სიამოვნებით, მე მაქვს ერთი დიდი მოთხრობა „ვირის ცრემლები“. საუცხოვო რამ არის. იწყება ასე: კვირივით „გამოგვარგვალიტებული“ მთვარე დასავლეთისკენ ჩაგორდა, თუნუქის ლამპასავით მბჟუტავ ვარსკვლავებს მიეძინათ, უცბათ აღმოსავლეთიდან ამოშპა ვეებერთელა მზე, თავისი სხივები აქეთ მიარჭო, იქით მიარჭო და ბოლოს მინდვრათ ღამით დარჩენილ, მშიან ვირს მიანათა, ვირმა თავი აიღო, მის ღრმა აზროვან თვალებში სიხარულმა გაითამაშა, ვირი დაეწაფა მზის სხივს, მეტის სიამოვნებისგან გახრუკული კუდი გააქნია, „ორი ობოლი ცრემლი“ მოსწყდა თვალებიდან და მიწაზე ბრაგვანი მოადინა...

კოსტა. (მეტის სიამოვნებისგან ჰყლოპინს დაიწყებს) რა მშვენიერებაა!! რა მშვენიერებაა! აი ნამდვილი ბელეტრისტი ვფიცავ უზენაესს, ჩემს პოეტურ აღმაჩალმა ფრენას, რომ ჩემს ყურებს ჯერ არ სმენია ასე პოეტურათ „ვირის ცრემლების“ აღწერა.

მათე. (თვალები აეცრემლება) სწორეთ, რომ საუცხოვოა, საუცხოვო, როცა იმ ადგილს მიაღწიე, „მზე ამოშპა, თავისი სხივები აქეთ მიარჭო, იქით მიარჭო, მინდორში დარჩენილ ვირს მიანათა, ვირმა მეტის სიამოვნებისგან გახრუკული კუდი გააქნია და „ორი ობოლი ცრემლი მოსწყდა თვალებიდან“. გესმით „ორი ობოლი ცრემლი“. მე ნათლათ წარმოვიდგინე, როგორ გულსაკლავ ქვითინს დაიწყებდა საბრალო ვირი. ასეთი რამ ჯერ არავის დაუწერია.

კოსტა. დასწერა ერთმა მაგრამ ასე კარგათ ვერ იყო აღწერილი ვირის ამბავი.

მათე. ასეა თუ ისე, საუცხოვო რამ არის და ნიკო საპატიო ალაგს დაიჭერს მომავალში, ჩვენ ბელეტრისტებში.

ნიკო. აბა ეხლა შენი რიგია, ჩემო კოსტა, ერთი შენც მოიგონე რამე კარგი ადგილი შენი წერილებიდან.

კოსტა. აბა მაგე!

მათე. (სიამოვნებით) კარგი! ამ ორი დღის წინათ ერთი სამკეთაურო წერილი დავსწერე. საზოგადოთ ძნელია, ძმებო, პუბლიცისტურ წერილების წერა, აქ პოეტური ნიჭი ნაკლებათ გამოსადეგია, აქ საჭიროა ღრმა მეცნიერული ცოდნა და პოლიტიკურ მომენტის შესწავლა. ამას წინათ დავსწერე წერილი, რომელიც შეეხება საზოგადოთ დღევანდელ მდგომარეობას. წერილი ასე იწყება: ,,დაიგრიალა რეაქციამ, დაქუხა, დასჭექა, დაიღრიალა, დაამტვრია, დაამსხვრია ყველაფერი, მილეწ-მოლეწა, ფეხ ქვეშ გათელა. რევოლიუციას კისერი მოსტყდა, წელში მოიღუნა, გატყდა, სული გასძვრა, ქვეყანა ბნელმა ღამემ ჩანთქა, ხალხი ჩაძვრა, სული გასძვრა.

კოსტა. დიდებულია! დიდებული!

ნიკო. საუცხოვოა! ღრმა აზროვანია.

კოსტა. დაბეჭდე სადმე?

მათე. საუბედუროთ სადაც კი მივიტანე, არსად არ დამიბეჭდეს. მიგდია სახლში.

კოსტა. (ამოიოხრებს) ოჰ! ტალანტები! ტალანტები!

ნიკო. ოჰ! ტალანტები! რა ტალანტები ვიღუპებით. პოეტი, ბელეტრისტი, პუბლიცისტი, სამი ვარსკვლავი მთელ ჩვენ ბედკრულ ქვეყანას გავაშუქებდით.

სამივე ერთათ (ტირილის ხმით):

ოჰ, ტალანტები, ოჰ ტალანტები
სამივე ტყვილათ დავეხეტებით.

(ღვინოს გადაკრავენ და ტირილით გადაეხვევიან ერთმანეთს)

ირეთელი.

იყიდება

„შრომის“ სტამბაში და აგრეთვე ყველა პროვინციელ აგენტებთან იუმორისტული ჟურნალების კომპლექტი:

„ეშმაკის მათრახი“ 1907 წ. 13 ნომერი ერთათ შეკერილი . . . 1 მ. 30 კ.

„ეშმაკის მათრახი“ და „მათრახი“ 1908 წ., 35 ნომერი, ერთათ შეკერილი. . . . . 2 მ. 50 კ.

„შუამავალი“ 1907 წ. 8 ნომერი— — 80 კ.

„შურდული“ „ „ 3 „ — — 15 კ.

ვინც ყველა ნომრებს ერთათ იყიდის—4 მ.—

გამოწერა პროვინციებიდანაც შეიძლება და გაეგზავნებათ ვინც წინდაწინ გამოგზავნის ღირებულ ფასს.

ადრესი: Тифлисъ, типографія «Шрома» Теофилу Ерастовичу Болквадзе.

აგენტებს დაეთმობა 25 პროც., უნდა მოსთხოვონ გაზეთების ბიუროს ხელმძღვანელს ბ-ნ მ. გაჩეჩილაძეს.

სულთანი აბდულ-გამიდი.

შახი მაგომედ-ალი.

ჩავყლაპე კონსტიტუცია,
სიცხე სულ არ მოუცია!
კარგს მადაზე დამაყენა
ამომიბა მუნჯი ენა!
წელში გამმართ-გამასწორა,
ძველს მეგობრებს დამაშორა,
თვალის ჩინი მომიმატა,
გულს იმედი ჩამიხატა,
გამოუგდეს გარემს კარი,
მომაშორეს მცველი ჯარი,
მაგრამ არ მაქვს გულში შიში
არც მაშინებს მტრის ერიში.
ყაირათი დაიპირეს,
ჯაშუშები დამიძვირეს,
ვზივარ ჩემთვის, კანონს ვიცავ,
ვსიამოვნებ ალლახს ვფიცავ!
ნეტავ, რისთვის ვაყონებდი
და ამ წამალს არ ვიღებდი?!.

მეც მივიღე ეგ ოხერი,
მაგრამ ისე ჩემი მტარი!
მე მან კუჭი შემიხურა,
კაცის სისხლი მომაწყურა,
ამიტეხა სურდო, ხველა,
გადამკიდა თითქმის ყველა,
ფაღარათი გამიჩინა
დამიცალა მთლათ ხაზინა,
გულის ფეთქა შემისუსტა,
მეგობრები გამიბუტა,
გამამხეცა, როგორც ხელი
მეფე, მეფეთ მბრძანებელი,
მოვიკუნტე როგორც ზღარბი
მსუნაგი და მადა ხარბი,
აღარ მქონდა სხვა საშველი
გამევიღე ისევ ხელი:
არც ვაცხელე, არც ვაცივ
მეჯლისი მყის დავაქციე,
ვინც მირჩია ეს „წამალი“,
გამოვთხარე ყველას თვალი,
ბევრი ქვეყნის მოამაგე
მარგილებზე ჩამოვაგე
ვისაც ენა ჰქონდი პირში,
მივათალე კაკალ ძირში...
მაგრამ მაინც არ მეშველა,
სულ მატულობს ხათაბელა...



ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუსის ქ. № 3. გამომცემელი პ. ქალანდაძისა